

მედიკალი
ნიგელიტე

1
1964




მეგობრებო, ამ სასმისით ჩვენს მიწნარა მეჭობლავს,
გაუმარჯოს და გაითენიას მრავალუმიერიც ვვაგოთ მათ
ვაბივსაცვამად!

№ 18 თბილისი სემბლეარი 1964

საბჭო

აგოცემის 42-ე წელი. ფასი 20 კპ.



იოსებ ქოქიაშვილს

იოსებ, ფუნჯი მხატვრისა
ცხოვრების ცოდნამ გარგუნა,
სამოცმა წელმა კარებზე
სამოცხერ დაგიკაუნა
და ვითხრა: — კიდეც ბევრია
ჩვენში საბილო ნატურა,
არ გაგიცივდეს ხურჯინში
ცხელ-ცხელი კარიკატურა.

გაყატოზა ნიანგოს

საუბარელო ნიანგო!

ჩვენ მცხეთის რაიონის სოფელ დოესიდან გახლავართ. გვიყვარს კარგი ცხოვრება და კარგი სანახაობა, მაგრამ XVIII საუკუნის ხუროთმოძღვრის მიერ აშენებული მარანი გვაქვს კლუბად. ვინ მოთვლის, რამდენჯერ მიგმართეთ სოფლის თავკაცებს, ითავეთ და თანამედროვე კლუბი აგვიშენეთ-თქო, მაგრამ ჩვენი აჯა არ ისმინეს და დღემდე მიყურძინებულნი დარჩნენ.

იქნება შენ გვიშველო და ისინი საღათას ძილისაგან გამოარკვიო, თორემ მათ ჩვენი არ ესმით, არც ჩვენ გვესმის, რატომ არ ესმით.

დოესელი

უკვლისუმილო ნიანგო!

აგებდად ვეწვიე ქ. ქუთაისის საქალაქთაშორისო სალაპარაკო სადგურს. თავაზიანად მომყიდეს ტალონი № 40. მას მერე ბარემ ორმოცჯერ მოვითხოვე დალაპარაკება, მაგრამ რა დაგკარგვია და რას ეძებ, ვინ გადირსა მოსკოვთან ლაპარაკი.

ერთი, კითხე, გეთაყვა ქუთაისის კავშირგაბმულობას, ისევ კავშირგაბმულობა დაგიტოვოთ სახელად, თუ, კავშირს რომ ვერ აბამ, რამე სხვა სახელი შეგარქვათ-თქო.

დალაპარაკების მსურველი

ჩინებულად ვცხოვრობდით სოფელ ბაისუბანში (ყვარლის რაიონი), გაგვაჩნდა ყველა ოცდაოთხი სიკეთე და მათ შორის, კლუბის შენობა, ვნახულობდით კინოსურათებს, სხვადასხვა სანახაობას და ვიშვებდით და ეხარებდით.

მერე შენობა ჩამოინგრა, კინოსურათი რომ ტარდება, თუ გავვიმდა, სენასი იშლება, სხვა დროსაც ისეთი ტბორი დგას, იატაკქვეშ ბაყაყების ყიყინსაც კი ვისმენთ.

ვინ იცის, იქნება ჩააფიქროთ ჩვენი სოფლის თავკაცები, რომ ბაყაყების სიმფონიას კლუბი არა სჭირდება და კლუბს ბაყაყების სიმფონია.

უზრეზამოჰადილი

სანატრელო ნიანგო!

ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროლას მცხოვრებლებს ასეთი კარგი კლუბი გვაქვს, რომ თქვენი მოწონებული, მაგრამ მეორე ბრიგადის ტერიტორიის მოსახლეები სანახაობათა ნახვას თითქმის მოკლებულნი ვართ, რადგანაც, როგორც კი გაავრდებოდა, გზაზე საშინელი ტალახი დგება და ტექნიკის დაუხმარებლად ორი ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელია.

იქნება ერთი ორი დღით ჩამოხვიდე, ნიანგო, და შენ მაინც დაგვრავსო, რათა ჩვენი სასიარულო გზა ჩვენვე გაგვაკეთებინო.

წაპაროლელი

უვალგან მოსიარულე ნიანგო!

მაიაკოვსკის რაიონის სოფელი სულორი სხვა სოფლებს, კაცმა რომ თქვას, არაფრით არ ჩამოუვარდება, მაგრამ გზა არ გვივარგა და, სხვა რა გზაა, ისევ შენ უნდა მოგმართოთ.

რაიმე გზით, იქნება დაარწმუნო ჩვენი რაიონის საგზაო მშენებლობის კანტორის თავკაცები, გზადაგზა ჩვენც მოგვაქციოს ყურადღება და გზა აგვიშენოს.

უგზო

მოწყალე ნიანგო!

სამტრედიელი ამირან ბიკენტის ძე დუნდუა ხობის ყველ-კარაქის საამქროს ბრიგადირად მუშაობდა, მაგრამ ტექნიკის სიყვარული ბავშვობიდანვე დაჰყვა. განსაკუთრებით მანქანები უყვარდა და კიდეც უფრო საბურავები.

ქალაქი ომსკი უყვარდა ქალაქებში სხვებზე უფრო, ჩავიდოდა, გაივლ-განმოვილიდა, თავის დას ეთერი დუნდუას ფოსტით საბურავებს გამოუგზავნიდა. ისე „სულ რაღაც“ სამოცი ცალი საბურავი გამოაგზავნა.

ამ დიადი დამსახურებისათვის, რაიმე საზღაური ან ჯილდო ხომ უნდა არგუნო, მოწყალე ნიანგო!

გორგალაძე

თვალმაცვილო ნიანგო!

კულაშელი ისაკ შაფათას ძე მირილაშვილი ჭკუის კოლოფი რომ არის, ხომ გაგიგონიათ და აი რა ფიქრები უტრიალებდა მას:

უსაბურავო მანქანა იგივეა, რაც უფეხო კაცი, უფეხო კაცი კი ნახევარი კაციც არ არის, ამიტომაც კაცს ფეხები უთუოდ უნდა ჰქონდეს და მანქანას კიდეც საბურავები.

ამიტომაც ისაკ შაფათას ძემ საკუთარი ფეხებით მოინახულა მოსკოვი, მერე ნოვოსიბირსკი და ნოვოსიბირსკიდან და მოსკოვიდან საბურავები ბადროსავით ტყორცნა შუაგულ სამტრედიას.

ჰოდა, ასეთ ხელმარჯვე და ხელმარდ მტყორცნელს საყვედური ტყორცნეს, შენ ვინა გკითხავს საბურავებით ხალხის მომარაგებას, არამკითხე მოამბე რატომ ხარო?

აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, ისაკ შაფათასძესთან „მომამგეს“ არამკითხე მოამბე ეთქმის?

გადროვნილი

მოამაგე ნიანგო!

ონის რაიონში არის სოფელი ღარი და ღარის შუაგულში მიედინება მდინარე ღარულა. ამას იმიტომ კი არა გწერ, რომ ჩვენი სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა გასწავლო, არა, ბატონო, მაგრამ ღარელების გული ერთმა ღარდმა დაღარა და იმაზეა ლაპარაკი. ღარულას მარცხენა ნაპირი ილიჩის ნათურებით ისეა გაჩახჩახებული, რომ იქ ღამის წყვდიადი სამუშეუშო იშვიათობად იქცა, მაგრამ მარჯვენა ნაპირის მოსახლეობის განათებას არა და არ დაადგა საშველი.

ალბათ, უგუნურები იყვნენ ჩვენი წინაპრები, როცა მარცხენას ავის მომასწავებლად თვლიდნენ, მარცხენა ფეხზე ხომ არ ადევნიო. რომ ეკითხებოდნენ ერთი მეორეს? ჩვენ მარჯვენა ნაპირზე რომ ვცხოვრობთ, რა ხეირი გვაყრია, ვითომ ჭრაქის ბოლით არ ვიმუშრებით?

არსენები კი არა ვართ, „იქ ნათელი“-თ რომ გაგვისტუმრონ, აქ ნათელი გვინდა და როდის და ვინ გვაღირსებს ნეტავ?

ზრპაუზილი

I სერია

მოქმედი პირნი:
კიაზო და ვლიანძე — კომბინატის მთავარი ინჟინერი — ბარბოტი
მ. ნ. გრიგორიანი — მთავარი აგრონომი — ტენორი
თინა თაბაგარი — მდივანი, ქალთუბუცები — სობრანო
სეი გობეჯიშვილი — კ. დავლიანძის ნათლიმა — მეორე ტენორი
ესე ჩხეტიანი — ყურის ჯიგარი მეზობელი — ბანი
ქენია ავქოფაშვილი — ცხვირის წინ მეზობელი — კონტრალტო
ონისიმე გრძელიძე — ზურგუკანა მეზობელი — მეორე ბარიტონი
გ. პ. საჯაია — მეზობელი ვინმე — მეორე ბანი.
დემუხიშვილი — უცხო — მესამე ბანი
დიქტორი, ხეხილის მჭრელები, კოლმეურნეები, ხალხი.
დიქტორი — უპ, რა მდიდარი ხარ, მშობლიურ მიწავ! (მუსიკა) გაგისწით გულს და ამოიღე, რაც გინდა, გელოვებმა ბოლნისში მადნეულის უმდიდრესი მარაგი აღმოაჩინეს (კადრში — ფეხზე დადგა ბოლნისი. აღელდა მარნეული. საჭირო შეიქმნა მარნეულიდან მადნეულამდე რკინიგზის ხაზის გაყვანა. რკინიგზამ გააქაფა ნარგავები და ვენახები.
მ. გრიგორიანი შემოხვდება კ. დავლიანძეს).
მ. გრიგორიანი — კიაზო, საით?
კ. დავლიანძე — იდეა მაქვს. ხა-ხა-ხა-ხა...
მ. გრიგორიანი — აბა სადა გაქვს? მაჩვენე ერთი.
კ. დავლიანძე — კოლწევრთა ჩამოსატრელი ნაკვეთები ავსომოთ, ნარგავები აღწეროთ, შევაფა-

სოთ იმ წამს, აქტებზე ხელი მოვაწერინოთ კომისიის წევრებს და ამით შევექმნით ჩვენს „ოქროს ქისას“.
მ. გრიგორიანი — მერე, კიაზო? მალე მითხარ, ანდა მომკალი!
(შემორბის თინა თაბაგარი)
კიაზოს არია: — „ხეხილის ფასის საზღავად მიიღეთ ჩემი სალამი...
უწყისში ყველა ჩასწერეთ მარჯვედ გეჭირთ კალამი!“
მ. გრიგორიანი —
საერთო „ოქროს ქისისთვის“
ფულის უწყისი მიმაქვს შინ,
ზედ მივამატოთ ისინიც,
ვინც სულ არ არის სიაში“.
თ. თაბაგარი — (კიაზოს)
„ამ შენეული კალამით
უწყისი დამიწერია...
3380 მანეთის
„ხეხილი“ მოსატრელია —
500 ჩუმად მომეცით,
2880 თქვენია...“ (შემოდის სეი)
სეი გობეჯიშვილის არიოზო —
„ვითომ ხეხილი მომიტრეს,
ცულს და ხერხს არც კი გავლესავ...
რა მიმაქვს, ხელს თუ მოვუწერ,
მაძლევს 1000 მანეთს...“ (შემოდის ესე)
ესე ჩხეტიანის სოლო:
„ბიჭო, ჩემთან შემოსულან,
გაუკაფიათ ხეხილი —
2220 მან-ზე ხელს ვაწერ,
1700 მან. მე? ჰმ! კეთილი!“
გუნდი: — „ჰმ! კეთილი! ჰმ! კეთილი!
ვინ-მემ მა-ხე არსად დაგვიგოს,
შენც სუ! მეც სუ! არვინ გაგვიგოს!“
ქენია ავქოფაშვილი —
ხელს ვაწერ ამ დღეს 1295 მანეთს.
მზე ჩაესვენა, რამ მიმშუქაროს?..

300 მანეთი დამრჩება ჩუმად,
995-ით დეე, სხვამ გაიხაროს...
ვესებათ ქისა, ის „ოქროს ქისა“,
დმერთო, ნუ დაწყვეტ მოგების წყაროს!
ონისიმე გრძელიძის რეჩიტატივი.
სიზმარია თუ ცხადია, 2300 მან. მწაღია!
3114 მან. ხელს ვაწერ, რა კარგი წელიწადია!
შენ კი, გ. პ. საჯაია, 2200 მან. უწერ
ხელსა?
210 მან. ჯიბეში გაქვს, იმ შენი დედ-მამის მწესა!
დემუხიშვილს 402 მან. ჯიბეში ჩაუდგესა —
მაგიერში 3925 მან-ზე აწერს კალმის წვერსა.


გუნდი
ვირთაგვებმა სახელმწიფოს
35.000 მან. წაგლიჯესა,
მაგრამ იმდენ საქმეს ბნელსა
აქ ნათელი დაადგესა...
კიაზოს და გრიგორიანს
ფუ, გამჩენი გაუწყრესა!..
კიაზოსა და მ. ნ. გრიგორიანის დუეტი:
თავო ჩემო, რამდენი გიწერია...
ოქროს ქისავ, ეშხით არ გიჟდებია,
გულო ჩემო, ტკბილად არ გიძებია,
რადგან გვითხრეს — ხალხი ჩვენი მტერია!..
პირველი სერიისა და კომბინაციების დასასრული.

II სერია

სასამართლოს კინოთეატრის მწვანე დარბაზში.
სცენარის ავტორი მასო ხმალაძე
დამდგმელი რეჟისორი
მართლოს ხანჯალაძე



ნახ. გ. ფირცხალაშვილი



რომ გადიქცეს თბილისი
სანიშნო ქალაქად,
ჩვენ არ უნდა გადიქცეთ
უნაყოფო ლაქაქად,
საქმით უნდა მივხედოთ,
მის ნორმალურ ცხოვრებას,
განა ჩვენს ხელთ არ არის
ნაკლის გამოსწორება?

შოლდით ზურგი ავუწვათ,
ყველა თაღლითს, უჭნარას
და ნუ შევუშინდებით
ხულიგნების მუჭარას,
საკულანტებს, ბაცაებს,
ლოთებს, უხედებს, გარეწრებს,
ფეხქვეშ მიწა ეწვოდეთ
და დანდობა არ ექნეთ.

მოგიწოდებთ, კი არ გთხოვთ,
აუწიოთ ყურები,
ვისაც კიცხა გუთუნის
თავის „დამხსურებით“.
წესრიგითაც მივბაძთ
მოსკოვს, რიგას, ლენინგრადს,
სარეველა ბაღში,
სადაც ფსევებს ვერ იღვამს.

ებს და სტუმრებს
ილი ღმირით
უნდა ვაგმოთ
კბილი ხილივით.
ხელი მოკიდოთ
ნაკლის აღგმვას,
ცოლი თბილისი
ნო ქალაქად.



— ვა, კაცო, ეგ დამსუფთავებელი მანქანაა
თუ დამნავიანებელი?



მოდი, ბიჭო,
დავებმაროთ.
მარება?
რომ ას კაცს
ჯერ ვინ ღაგებს.



— ძია, ეს გაგვადან რა, ჩვენი რაშიმ ჩარ-
თის შეგროვების გეგმას შეასრულებს!



— ამბანავო ღირეცტორო, ჩვენი თანამშრომელი შალ-
ვა ხულიგნობისთვის 15 დღით დააპატიმრეს.
— კარგია, ორ კვირას მაინც მოვიგვებთ.

სწრაფად და მოხერხებულად

ის დეპეშა რომ მოიტანეს, მატარებლის გასვლამდე წუთები იყო დარჩენილი; აქეთ ვეცი, იქით ვეცი და თბილისის სადგურში ნაცემივით გაგაყოლე თვალი მატარებლის ბოლო ვაგონს...

პაერში აჭრილ ტუ-104-ს მყვირალა ასობით ჰქონდა მიწერილი:

„მოხერხებული, ხელსაყრელი, სწრაფი“.

— აშენდეს შენი დამწერი! — ჩავილაპარაკე კმაყოფილმა და ვეცი ლენინის მოედანთან თბილისის აეროვაგზლის საღაროს. ადგილზე მისულმა საღაროს წინ ორმოცდაათმეტრიან რიგს რომ გავსედე, ელდა მესცა.

— რა არის, რაზეა ეს ჭიდაობა?!

— თვითმფრინავის ბილეთებზე!

— სხვა მოლარეები სად არიან?

— ღმერთმა იცის მაგათი ამბავი. მართო ეს ერთი მუშაობს!

— ნაავადმყოფარი კაცი ვარ, ვირუსული გრიპი გადავიტანე. — ამოვიცანა ელ საცოდავად.

— ას... მაგი არ გამაგონოთ! გრიპი კი არა, ქრონიკული ტუბერკულოზით ვარ დაავადებული! — წამოიძახა რიგის ბოლოში მდგარმა მთასავით კაცმა და ხელები გაასასვავა.

— პატყეცმულნო! მე დაკრძალვამე მიმეჩქარება.

— უშენოდაც დაკრძალავენ.

— რა ვქნა ახლა, თქვენი გული რით მოვიგო?!

— ქალაქის აეროვაგზლის უფროსს მოუგე, ჩვენ ისედაც წაგებაზე ვართ.

12 საათზე თვითმფრინავის სიჩქარით რუსთაველის მოედანზე აეროვაგზლის ხელმძღვანელებთან მივეფრინდი.

ორისნახევრამდე მისწინდნენ აეროვაგზლის მუშაკები, რომ ერთი მოლარე კურორტზე იყო წასული, მეორე — ბილეთების მოსატანად და, რომ რიგი სრულიად არ იყო ხელისშემშლელი მგზავრობისა და მოგზაურობისათვის.

— თელავამდე თვითმფრინავით მგზავრობას რამდენი წუთი უნდა?

— ოცდასუთი.

— საღარომდე მისვლას და ბილეთის ყიდვას ორსაათნახევარი, აგაშენოთ ღმერთმა.

— თქვენ წაბრძანდით ისევ ლენინის მოედანზე, დაელოდეთ მოლარეს, მოლარე მოგცემთ ბილეთს, ბილეთით წახვალთ აეროპორტზე...

საათს შევხედე.

— გამაღოთ... ჩვენი თვითმფრინავი უკვე გაფრინდა. — ხელი ჩამოვართვი ამგადარ მუშაკებს, კიბებზე ჩამოვდიდი და ზერელე ახსნა-განმარტებებით გაბრუნებულმა ფოსტიდან მწუხარე დეპეშა გავგზავნე.

„ვიზიარებ თქვენს მწუხარებას ბებია დაროს გარდაცვალების გამო. აეროვაგზლის მოლარეთა სიმცირის გამო დაკრძალვას ვერ ვესწრები. 3 სექტემბერი. 1964 წელი. დავუსვი თარიღი და გამოვწიე სახლისკენ.“

3. ბასალშვილი

საქონლობა

ეს შეიძლება უცნაური სათაურია, მაგრამ უწყლობამ, ტალახმა, ბულოზურების ხმაურმა და, განთადისას, მუშების ყვირილმა დაგვარეტიანა, მაგრამ ჯობია თანმიმდევრობით.

საქმე შემდეგშია: დიდი ხნის წინათ დაიწყო ბელინსკის ქუჩის გათხრა „თბილგაზმა“, რამაც ამ ქუჩის მაცხოვრებლებს სიხარულის ემოციები აღუძრა. მე დღე და ღამ ვაწყობდი გეგმებს, თუ როგორ მივიღებდი ყოველ დღით თბილ შხაპსა და აბაზანას, შევიძინე პირსახოცები, ართმატული საპნები, მოკლე, ყველაფერი, რაც საჭიროა ამ პროცედურის ჩასატარებლად, მაგრამ, მოთმინეთ, ჯერ კიდევ არ იყო სამუშაოები დამთავრებული და, „კანალტრესის“ მშენებლებმა ხელმოკლე გათხარეს ქუჩა, თურმე შარშან აქ რამდენიმე მეტრი მილის ჩადება დაეწყებოდა, თავს იმართლებენ იმით, რომ ხანდახან ქიურგებს ოპერაციის დროს ტამპონი, მაკრატელი ან პინცეტი რჩებათ ავადმყოფის კუჭში!

დადგა კრიტიკული მომენტი დიდი კრიტიკოსის სახელობის ქუჩაზე. საკმარისი იყო რომელიმე გამწვანებულ მოქალაქეს საყვედური გამოეთქვა, რომ მშენებლები მათ დასაწყენებლად ათასგვარ ქართულ ანდაზას იშვლიებდნენ. იმანთ და ამანთ... საბოლოოდ მათი არც ერთი ანდაზა არ დამამახსოვრდა. თუმცა, მდიდარია ქართული ფოლკლორი.

„კანალტრესი“ მუშაობას რომ ამთავრებდა, მათ მუშებს სხვა ხალხი შეყურებდა, ისინი ჩვენ, ე. ი. ქუჩის მაცხოვრებლებს, იმავე ტრესტის მუშები გვევლინა, მაგრამ უკაცრავად, ეს თურმე წყალსადენის თანამშრომლები ელოდებიან ქუჩის მესამედ გათხრას,

რათა მათაც ხომ არ დაავიწყდეთ წარსულში ჩატარებული სამუშაოების დროს მიღების ჩაწყობა.

ასე ითხრება და ივსება ჩვენი ქუჩა... წერილი რომ მოსაბეზრებელი არ გახდეს, ამისათვის დაასლოებით გაცხობთ იმ მსხვერპლს, რაც ამ სამუშაოების დროს გაიღეს ბელინსკის ქუჩის მცხოვრებლებმა: უწყლობის გამო: პირდაპირი და წყლის წყურვილით ენაგაბმოდებული დადის ამ ქუჩის მცხოვრებთა 48 პროცენტი, გარდა ძუძუმწოვარ ბავშვებისა, რადგან მათ რძეზე სიარული არ შეუძლიათ, ნაწილი იმდენად გადაეჩვია წყალს, რომ რამდენიმე კაცი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს! რაიონის ექიმმა დასაკვნა, ცოფიანე-ბიო.

გზის ანერგულობის გამო: სამსახურში არ დადის ქუჩის მცხოვრებთა დიდი ნაწილი. ამათგან ნახევარს ფეხსაცმელი დაეხა, ზოგს ტალახში ჩარჩა ღამით.

ორმოცის სიმრავლის გამო: ძალიან ბევრია მიძიმე მოტეხილობა. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ განათება არ არის, რადგანაც ამ ქუჩაზე სასწრაფო დახმარების მანქანა ვერ ამოდის, ე. ი. დარჩნენ ინგალიდებად. რამდენიმე კაცმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი, სტებიან 7 მეტრზე, არის შემთხვევები სიხარულის შედეგად: რომ გაიგებენ სამუშაოები მალე დამთავრდებათ, რეაქტიული ფსიქოზი განუვითარდეთ, ეს რაიონის ფსიქიატრის დასკვნაა და ჩვენი ვამჩნევთ.

რამდენიმე კაცი უგზოუკვლოდ დაიკარგა. მათ საქმენელოდ, ალბათ, კიდევ გათხრიან ქუჩას.

თუ არ გჯერათ, მოდით და თქვენი თვალთ ნახეთ.

6. დიასამიძე

ჩემი პასაჟი

იქნის ოჯახი დაიქცეს, ვინც მე ამ ზაფხულს მაწვალა, ვინც ჩემ ცოლს ზილ-ბოსტნეულის დაკონსერვება ასწავლა.

სახლში „ფაბრიკა“ გამიხსნა, ერთ დღეს არ აცდნენ კვირაში, წვავს, ხარშავს, თუთქავს, ადულებს, ღამის მეც ჩამდოს ქილაში.

კაცი კი არა, რკინა ვარ, რა თავი მიძლებს, რა გული, ტომატის დეგუსტაციით ყელი მაქვს ამოხრაკული.

მუხლები აღარ მივარგა, ოფლი ჩამომდის წურწურით, მოვკვდი ბადრიჯნის თრევით და... ამდენი წანწალ-ძუნძულით.

ეს რაა?! თქვენ ღამე ნახეთ შიში და გულის ხეთქება, „მზა ნაწარმი“ რომ... ბახ... ბახ... ბახ... ყუმბარასავით ფეთქდება.

წამოვვარდები ყვირილით: „არიქა, ვიღაც დაგვეცა!“ მერე წამლებს ვსვამთ დილაზე მეც და „ფაბრიკის გამგეცა“.

ბრ. ჩიხიშვილი

ნ.ბ. ზ. ფორჩინიძე



— რამდენ ხანში ჩამოხვედი სოხუმიდან?
— თვითმფრინავით ნახევარ საათში ჩამოვფრინდი, აეროდრომიდან სახლში კი საათნახევარი მოვუნდი მოსვლას.



კინოთეატრიდან ყველაზე ბოლოს მე და მაიკო გამოვედით. გარეთ გამოსვლისთანავე შეკრთა ჩემი გულსისვარდი, შეშინებული ბავშვურად შეჰკივლა, ფილაქანზე ქარისაგან ახტუნებული ფოთოლი თურმე ბაყაყი ეგონა. მაგრამ მთავარი საშიშროება თურმე უკან მოგვდევდა. რა ვიცოდი, თურმე, ფეხდაფეხ ვილატ უცნობი აგვეტორლია. მაიკოს ახლა ეს უხელო-და? რა დაგვიფიცოთ და ასეთი მშინაარა ქალიშვილი ჯერ არ მინახავს.

— ვაი, რა გვეშველება!.. ვაი, უკან მოგვდევს!.. ვაი, მოგვკლავს, ვილატ ახმახია.

მაიკოს შიში მთქნარებასავით მეც გადმოემდო, მაგრამ თავს ძალად ვიმხნევებდი და ქალიშვილსაც ვანუგეშებდი.

— ნუ გეშინიან, აქ არა ვარ?... აბა, ერთი გაბედოს და ახლოს მოვიდეს, სულს გაეფრთხობინებ. ვამშვიდებდი მაიკოს და თან გულს ეჭვი მიღრღნიდა, — როგორ უნდა გამეფრთხობინებინა სული იმ ატორლიალებული უცნობისათვის, როცა ჩემს სიცოცხლეში არც მიჩხუბნია, არც მიჭიდავნი. მხოლოდ ტერმინები ვიცი: ნოკაუტი და აპერკოტი! ოცი წელია რედაქციაში ვმუშაობ და, ზოგიერთ აბეზარ ავტორთან ხმამაღალი შელაპარაკების გარდა, ჯერ ბუზიც არ ამიფრენია. ყველა უწყინარ კაცად მიცნობს. „ალბათ, მთვრალია, ალბათ, რესტორან „თბილისიდან“ გამოვიდა, ალბათ, შინ მიდის“, ვფიქრობდი და თან მაიკოს თვალებში ჩახედვას ვცდილობდი, მაგრამ მკრთალად მბეუტავი ქუჩის ნათურები არ მაძლევდნენ ამის საშუალებას. თუნდაც ჩამეხედა მის თვალებში, რა უნდა ამომეკითხა, გარდა შიშისა?

ის უცნობი ისევ გულდაგულ მოგვდევდა, მაიკო წამდაუწყებლად უკან იხედებოდა, იგი ცახცახმა აიტანა. მეც ზურგივთ ვგრძნობდი, როგორ მოგვდევდა ვილატ უცნობი. რა უნდა გვექნა? ორივენი განგებ გავემართეთ ალ. ჭავჭავაძის ქუჩისაკენ. ეგებ იმ უცნობისათვის „გზა-კვალ“ აგვეზნია, მაგრამ ის წყეული იქაც გამოგვყვა. „ზარია ვოსტოკას“ შენობაში შევედით. მაიკომ მორიგის ტელეფონით თავის მოკრივე ძმას დაურეკა, რუსთაველის ძეგლთან დაგვხვდით. მე შეურაცხყოფილი გახლდით ჩემი არადჩაგდებით, მაგრამ ვითმენდი. გარეთ

გამოვედით, ის უცნობი ახმახი ხეს მიყრდნობოდა და შოთის-ლოდან გვითვალთვალავდა.

— ნუ გეშინია, ჩემო მაიკო, ნუ ცახცახებ, ნუ კრთი! — ისევ ვანუგეშებდი ჩემს პირველ სიყვარულს.

— გეშინია და რა გქნა? — თავს ჩურჩულით იმართლებდა მაიკო. — ნუ კრთიო, ნუ ცახცახებო, განა ჩემი ნებაა კრთომა და ცახცახი? — უკან მოვიხედე, ის უცნობი ისევ მოგვდევდა.

რუსთაველის ძეგლთან მაიკოს მოკრივე ძმა დაგვხვდა. მძიმე წონის სპორტსმენმა ღიმილით გადმოგვხედა, მერე ცალი თვალი გააპარა იმ ახმახი უცნობისაკენ, რომელიც ჭადარს მიყრდნობოდა.

მაიკომ ძმას სულმოუთქმელად უამბო ყველაფერი.

— თქვენგან რა უნდა? — ხმამაღლა გვკითხა მოკრივემ, თან კბილები გააკრაქუნა.

— რა ვიცი რა უნდა?! — ხმამაღლავე უპასუხა იმედმოცემულმა მაიკომ.

— ჩვენ არაფერი დაგვიშავებია. — ბავშვივით შეეჩივლე მეც და ცალი თვალი ხეზე მიყრდნობილ ახმახს შევაყვებ.

ღისა და სასიძოს შეურაცხყოფით აღელვებული მოკრივე უცბად მოგვწყდა. ვეფხვის ნახტომით იმ უცნობისაკენ ისკუპა და ოდნავ უკანდახეულ ახმახს უკმეხად ჰკითხა:

— შენ, ეი, რა გინდა ამთგან?

შორიახლოდან შევნიშნე, როგორ შეიმშუშნა უცნობი ახმახი, მისი წრიბინა ხმაც მკაფიოდ გავიგონე: — დიდი ბოდიში, მაგრამ... ძალიან მაინტერესებს, ვინ არის ის კაცი? უცნობმა ხელით ჩემზე ანიშნა. პასუხს არ დაუცადა და ხელახლა შეეკითხა, — რედაქციაში ხომ არ მუშაობს?

— ღიახ, რედაქციაში მუშაობს, — მშვიდად უპასუხა მაიკოს ძმამ.

— მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გამგეა, არა?

— ღიახ! — იყო სხარტი პასუხი.

— ორი პატარა მოთხრობა მაქვს დასაბეჭდი... ძალიან მინდა მისი გაცნობა, — ათრთოლებული ხმით წარმოთქვა უცნობმა და მაიკო დამშვიდდა, მეც დავმშვიდდი. მარტო მძიმე წონის მოკრივე ლელავდა. ღამის ვარჯიში რომ ჩაუფლავდა.

ბაი. კანკელი

ჩემი ვაჟი

გულმა მისი არსებობა შემახსენა ლბინოსანს, დამავიწყა არსებობა თუთუნთან და ღვინოსთან. მიერთმევენ სხვები ციკქას, მე კი ვყლაპავ ვალიდოლს, და, სუფრაზე ვინც კი მნახავს,

ვეცოდები ამიტომ. სიდედრი კი ფეხზე იწევს, ღამის ყველას ედაოს: — ღვინოს არ სვამს, თუთუნს არ წევს, სიძე გაჯანმრთელდაო. **ნ. შამანაძე**

უახლესი

ჭაბუკების არჩევაში ბევრჯერ ფიქრით დაღამა. — რაო? სიკოს ვინ წაჰყვება? დაიკარგოს სალახანა!


არც ვანიკა მომდის თვალში, იცის უშნო ასირება: — პეტრეს ცხვირი არ უვარგა, პავლეს კიდევ — გაღიმება.

მდიდარიც მსურს, მოხდენილიც, მე ქალი ვარ პირდაპირი, აფრასინოს ავტო არ აქვს, ნიკიფორეს — წინა კბილი.

დრო გარბოდა... მას გგონა ისევ ისე მოვლენ ნებით, წელთა რიცხვი მატულობდა, — კლუბულობდნენ მთონელები.

რა გქნა, თუკი ბევრს მოვწონვარ. ცუდი არის მერე განა?! და ვერც მისვდა, თეთრი ზოლი თმაში ისე შეეპარა.

დღეს პირსახე ჩამოსტირის, მხრები უხმოდ ასწურვია; და, ჭალარა დედის ნაცვლად თმაჭალარა ქალწულია... **ბ. შეთვაშური**



ნახ. ო. ჯიშარიანისა

ზომიერო ლექსი

- რატომ გძინავს ლექციაზე?
- წუხელ არ მეძინა.
- რატომ არ მეძინა?
- გუშინ მეძინა თქვენს ლექციაზე.


რედაქტორი **ნ. შველიძე**.

სარედაქციო კოლეგია: **ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზინია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.**

საქ. კბ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 16/IX-1964 წ. ქალ. ზომა 70X108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირბით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შვკვ. № 2442. უფ. 04587. ტირაჟი 40000



მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში — ლათინურ ამერიკასა და ევროპაში, აზიასა და აფრიკაში გამუდმებით ჩნდება კონფლიქტები, დაძაბულობის საშიში კერები. ყველა ამ კონფლიქტის წყარო ერთია — ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც ცდილობს ჩაახშოს ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც ეს არა ერთხელ ჩაუდენია წინათ.

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ ქალაქ პრაღაში ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგზე წარმოთქმული სიტყვიდან).

ხანძრის გამჩაღებლები



ნახ. გ. ლომიძისა